ხელშეკრულება №287
(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი 4 მაისი 2023 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) მისი გენერალური დირექტორის მოადგილის ტარიელ ჭანტურიძის სახით და მეორეს მხრივ, ააიპ „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოში“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) მისი დირექტორის გიორგი მაღრაძის სახით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: (SMP230001219):

1. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია: „ბაზრის კვლევა და ეკონომიკური კვლევა; გამოკითხვები და სტატისტიკა „ (CPV79300000) თამბაქოს კანონმდებლობის აღსრულებისა და განხორციელების ობსერვაციის გაძლიერება სამასპინძლო დაწესებულებებში (კაფე-ბარები, რესტორნები, ჩილიმ-ბარები) სამედიცინო დაწესებულებებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მ.შ. ტოტალიზატორები), მედია ორგანიზაციებში, (ტელევიზიები, რადიო), საჯარო დაწესებულებებში და სავაჭრო ობიექტებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და ქუჩის სარეკლამო ლოკაციებზე; თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის აღსრულების მხარდაჭერის მიზნით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება აღმასრულებელ სტრუქტურების წარმომადგენლებთან თბილისსა და რეგიონებში კანონის ადმინისტრირების პროცედურების, შედეგებისა და აღსრულების შესახებ არსებული გამოწვევების განხილვის მიზნით.

2. ხელშეკრულების საფუძველი

2.1. "საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი.
2.2 „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის N609 დადგენილების შესაბამისად;
2.3 „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.
2.4 დაფინასების წყარო: ჯანმრთელობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის „თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერების კომპონენტის“ ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს: 64750.00 (სამოცდაოთხიათას შვიდასორმოცდაათი) ლარს (დღგ-ს გათვალისწინებით) მათ შორის ერთი თვის ღირებულება შეადგენს 32375 ლარს დანართი N1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება 2022 წლის 1 მარტს გაფორმებული #229 ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.
3.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში, როდესაც:
ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმების შედეგად მოხდება ერთეულის ფასის შემცირება;
ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას.

4. ხელშეკრულების კონტროლი

4.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს – „შემსყიდველის“ სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის ჯგუფი ან/და შესაბამისი ფუნქციებით აღჭურვილი პირი რომელიც წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე, განახორციელებს ინსპექტირებას, რაც გულისხმობს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს.
4.2. ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საბუთის წარდგენა, ფინანსური ხარჯის და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტა ეკისრება მიმწოდებელს.
4.3 ნსპექტირების განხორციელებაზე პასუხისმგელებლი პირები არიან: ცენტრის ჯანმრთელობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი ლელა კვაჭანტირაძე, სპეციალისტი ანა დეკანოსიძე, ვერა გეგენავა, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე: საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ქეთევან ოზიაშვილი.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. „მომსახურების“ უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი სახსრებით დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1.„მომსახურების“ გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორებიდან 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

6.2. „მომსახურების“ გაწევის ადგილი: საქართველო, თბილისი, კახეთის გზატკეცილი #99;

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიწოდების დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელდება მოწოდებული მომსახურების შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

7.3. წარმოდგენილ ანგარიშ ფაქტურას ან/და სასაქონლო ზედნადებს(არსებობის შემთხვევაში) შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

7.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 7.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა მომსახურების დანიშნულების ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

7.5. „მომსახურების“ მიღების დროს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

7.6. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მიერ საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება „მომსახურების“ უხარისხობა, იგი წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით და მოითხოვს სათანადო კომპენსაციას.

7.7 მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი შესასრულებელი სამუშაო:

7.7.1 შერჩევის მეთოდოლოგია და დაწესებულებების/ობიექტების სია, სადაც განხორციელდა მონიტორინგი,

7.7.2 საზოგადოებრივი ტრანსსპორტისა და სარეკლამო ლოკაციების შემოწმების სქემა;

7.7.3 ობსერვაციის შეფასების კითხვარები (სხვადასხვა ტიპის)

7.7.4 მონიტორინგის დასრულების შემდეგ, მონიტორინგის შედეგების მონაცემთა ბაზის წარმოდგენა ელექტრონული სახით;

7.7.5 შენობის შიგნით კანონდებლობის დარღვევის თითოეულ ფაქტზე მომზადებული ანგარიში ფოტოსურათებით (სადაც შესაძლებელი იქნება);

7.7.6 მეორადი კვამლის გაზომვის შედეგები (ანგარიში და შესაბამისი გრაფიკების წარმოდგენა);

7.7.7 თამბაქოსაგან 100 %-ით თავისუფალი წარმატებული დაწესებულების სია;

7.7.8 პროგრამული და ფინანსური ანგარიშების წარდგენა პროგრამის ბოლოს შემაჯამებელი ანგარიში მონიტორინგის შედეგების ანალიზით

7.7.9 დარღვევებზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება შემსყიდველისათვის მონიტორინგის პროცესში დარღვევების ამსახველი ფოტოსურათების წარდგენით (სადაც შესაძლებელია) ანგარიშებთან ერთად.

7.7.10 მონიტორინგის შედეგების წერილობითი ანგარიშის წარდგენა, (სტატისტიკური ინფორმაციით და ანალიზით), როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ფორმით (ჩაწერილი 3 ც. DVD ფორმატზე).

7.7.11 მონიტორინგის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზა Excel-is ფორმატში.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიური გაწეული „მომსახურების“ ღირებულების შესაბამისად,

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 დღის განმავლობაში.
8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება „მომსახურების“ ხარისხის, ვადის ან/და მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-12 მუხლით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში;
9.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;
9.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ „მომსახურების“ ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;
9.4. „მიმწოდებელი“' ვალდებულია: უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის „მომსახურების“ მიწოდება შემსყიდველისათვის სატენდერო დოკუმენტაციითა და ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

9.5. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების თანდართული დანართების შესაბამისად უზრუნველყოს მომსახურების გაწევა.
9.6 განახორციელოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ხარისხიანად და შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერაში მითითებული ჩამონათვალის შესაბამისად;

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პირგასამტეხლო)

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადების დარღვევის შემთხვევაში „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა დარჩენილი გასაწევი „მომსახურეობის“ ღირებულების 0,05%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაანგარიშებით.
10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ ერთჯერადად იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით დარღვევის ყოველი ფაქტის დაანგარიშებით.
10.3. ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციები რეგულირდება „დადგენილებით“.
10.4. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.
10.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.6. „შემსყიდველს“ შეუძლია ასევე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
10.6.1. თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს „მომსახურება“;
10.6.2. თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში;
10.6.3 თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე.
10.6.4. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
10.6.5. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.
10.7. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
10.8. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პირგასამტეხლოს თანხის გადახდა

წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

11. დაუძლეველი ძალის მოქმედება

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით. რომელსაც ცნობენ მხარეები.
11.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისაგან.
11.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
12.2. ხელშეკრულების 12.1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით, არაუგვიანეს 15 სამუშაო დღით ადრე.
12.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის, ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.
13.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17.2. „მიმწოდებელს" არ აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

17.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა.

17.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

181. ხელშეკრულება შედის ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან.

18.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება: 2023 წლის 30 სექტემბრამდე.

18.3.ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

18.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ-კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

19. განსაკუთრებული შენიშვნები

20.1. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

20. მხარეთა რეკვიზიტები

„„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლის და საზოგ. ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ მისამართი: თბილისი,კახეთის გზატკ.#99; საიდენტიფიკაციო კოდი: 211324351 სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22 ა/ნ: GE24NB0330100200165022 გენერალური დირექტორის მოადგილე:	ააიპ „თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის ცენტრი საქართველოში“ მის:ქ.თბილისი, ვაზისუბანის დასხ. 7/3; საიდენტიფიკაციო კოდი: 206138302; სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი:BAGAGE22 ა/აGE33BG0000000182622601; ტელ: 2347750; დირექტორი:
_____ ტარიელ ჭანტურიძე	_____ გიორგი მაღრაძე

L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Digitally signed by L Sakvarelidze National Center For Disease Control and Public Health
Date: 2023.05.04 17:14:33 +04'00'

Framework Convention on Tobacco Control Implementation and Monitoring Center in Georgia
Digitally signed by Framework Convention on Tobacco Control Implementation and Monitoring Center in Georgia
Date: 2023.05.04 17:33:45 +04'00'

დანართი № 1 „მომსახურების“ ფასთა ცხრილი

დასახელება	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი	რაოდენობა		თანხა	
			სულ	მ.შ. ერთი თვე	სულ	მ.შ. ერთი თვე
თამბაქოს კანონმდელობის აღსრულების შეფასება სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში, სადაც კანონით აკრძალულია მოწევა რანდომული პრინციპით შერჩეულ დაწესებულებებში მონიტორინგის განხორციელება: **(მინ 670 დაწესებულება, მ.შ ერთი თვე 335 დაწესებულება)**	ერთი დაწესებულების მონიტორინგი	50	670	335	33500	16750
სავაჭრო ობიექტების ობსერვაცია, თამბაქოს ნაწარმის, აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობების რეალიზაციის ან/და განლაგების, ასევე რეკლამისა და პოპულარიზაციის წესების მონიტორინგი. (მინ 500 **დაწესებულება, მ.შ ერთი თვე 250 ობიექტი)**	ერთი ობიექტის მონიტორინგი	45	500	250	22500	11250
საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალების (საქალაქო, საქალაქთაშორისო და რკინინგზის) მონიტორინგი **(მინ 250 ერთეული, ყოველთვიურად 125 სატრანსპორტო ერთეული, მ.შ. ერთი თვე 125 სატრანსპორტო ერთეული)**	ერთეული სატრანსპორტო ერთეულის მონიტორინგი	35	250	125	8750	4375
რეკლამის მონიტორინგი (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტი) და რეკლამის მონიტორინგი ქუჩებში;						
სულ ღირებულება					**64750**	**32375**

ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ ვეთანხმებით აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 8) და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების (მუხლი 8) შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ურთიერთობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ვიზა: ო. ნამიჭეიშვილი

ვ.გეთია

გ. ქობალია

ლ.ებანოიძე

ლ.სტურუა

ლ.კვაჭანტირაძე

კ.გულუა

ა.დეკანოსიძე

ვ.გეგენავა

ქ.ოზიაშვილი

შემსრულებელი: ა.მეტრეველი